საჯარო სამართლის იურიდიული პირი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სპორტის კოორდინატორის საქმიანობის ზოგადი წესი

განხილული და დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოს სხდომაზე:

ოქმი N 5 14.03.2018წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: /პროფ. მ. ღარიბაშვილი/

თელავი

2018

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სპორტის კოორდინატორის საქმიანობის ზოგადი წესის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – ,,უნივერსიტეტი") სპორტის კოორდინატორის უფლებამოსილებებს.

2. სპორტის კოორდინატორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესითა და წინამდებარე წესით.

3. სპორის კოორდინატორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რექტორთან შეთანხმებით.

მუხლი 2. სპორტის კოორდინატორი უზრუნველყოფს

ა) წლიური სამუშაო გეგმის და სასწავლო წლის მანძილზე ჩასატარებელი ღონისძიებების კალენდრის შედგენას;

ბ) სტუდენტებისა და უნივერსიტეტის პერსონალის სპორტულ საქმიანობაში ჩაბმას და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობას;

გ) სტუდენტების სპორტულ ღონისძიებებში ჩართულობას, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების და რელიგიური მრწამსის მიუხედავად;

დ) სპორტული ღონისძიებებისა და უნივერსიადების ორგანიზებას;

ე) სპორტულ ღონისძიებებში წარმატებული სტუდენტების გამოვლენას და წარდგენას მათ მიმართ წახალისების ღონისძიებების გამოყენების მიზნით;

ვ) წარმატებულ სტუდენტ-სპორტსმენთა მონაწილეობას ქვეყნის მასშტაბით გამართულ უნივერსიადებში;

ზ) გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებების მომზადებას;

თ) წარმატებული სპორტსმენებისათვის სპონსორების მოძიებას და მათთვის ხელშეწყობას;

ი) უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტული სპორტული სახეობების დანერგვისათვის ხელშეწყობას;

კ) სპორტის სახეობების განვითარებისათვის შესაბამისი მწრთვნელ-მასწავლებლების მოწვევას;

ლ) სპორტული ბაზებისა და ინვენტარის მოწესრიგებას;

მ) საუნივერსიტეტო სპორტის სახეობების პოპულარიზაციას.

მუხლი 3. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;
2. წესი ძალაშია დამტკიცებისთანავე.